1. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

ორგანიზაციის სრული დასახელება	
რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო კოდი	
პროექტზე პასუხისმგებელი პირი (სახელი, გვარის, თანამდებობის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით)	
ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სფერო და მიზნები	
თანამშრომელთა რაოდენობა/პროექტში ჩართულ თანამშრომელთა რაოდენობა	
წლიური ბრუნვა	
საგადასახადო შედარების აქტი (ამონაწერი www.rs.ge -დან)	
ბოლო სამი წლის მანძილზე განხორციელებული პროექტები (პროექტის მიზნის, დაფინანსების წყაროს და საერთო ბიუჯეტის მითითებით)	

2. პროექტის აღწერა

სააპლიკაციო ფორმის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სამ გვერდს. აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს შემდეგ ქვეპუნქტებს:

2.1 პრობლემის აღწერა (არსებული სიტუაციის ანალიზი)

გულისხმობს იმ კონკრეტული პრობლემის აღწერას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული პროექტი. დაასაბუთეთ რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორცილება. მიუთითეთ ის ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ სარგებელს (პირდაპირს ან ირიბს) მიიღებენ თქვენი პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

2.2. მიზანი

გულისხმობს ფართო, ზოგად დებულებას იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. პროექტის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირში იქნება (მიმართული იქნება) ზემოთ აღწერილ პრობლემასთან.

2.3. ამოცანები

გულისხმობს კონკრეტულ ნაბიჯების განხორციელებას მიზნის მისაღწევად. აქ უნდა მიუთითოთ რა ამოცანების შესრულებას ისახავთ თქვენს პროექტში იმისათვის რომ მიაღწიოთ მიზანს. მიზნის

მისაღწევად შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამოდენიმე ამოცანა იმის გათვალისწინებით თუ როგორია თქვენი პროექტის სპეციფიკა.

2.4. განხორციელების გზები

გულისხმობს კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს თქვენს მიერ დასმული ამოცანების შესასრულებლად. განხორციელების გზები არის პროცესი რომელმაც უნდა უპასუხოს კითხვებს:
1) "როგორ?" – როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?

2) "ვინ" – ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? და რა არის მათი ფუნქციები პროექტში?

2.5. პროექტის შესრულების განრიგი

აპლიკაციის ენ ნაწილი მოიცავს პროექტის დროში განაწილებულ მსვლელობას. მაგალითისათვის:

დაგეგმილი აქტივობები	**I თვე**				**II თვე**				**III თვე**			
	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
აქტივობა 1												
1.1.ქვე-აქტივობა												
1.2. ქვე-აქტივობა												
1.3. ქვე-აქტივობა												
აქტივობა 2												
2.1.ქვე-აქტივობა												
2.2. ქვე-აქტივობა												
2.3. ქვე-აქტივობა												

2.6. მოსალოდნელი შედეგები

აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგები (როგორც მყისიერი, ასევე გრძელვადიანი), რაც მოყვება თქვენი პროექტის განხორციელებას. სასურველია, ასევე მიუთითოთ, ამ შედეგების მნიშვნელობა და რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენს პოტენციურ სამიზნე ჯგუფებზე და ბენეფიციარებზე.

2.7. მდგრადობა

დაასაბუთეთ პროექტის მდგრადობის პერსპექტივა

2.8. პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები

მოკლედ აღწერეთ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორები და მათი მართვის (თავიდან არიდების/შემცირების) სტრატეგია. ამაში შესაძლოა დაგეხმაროთ რისკების შეფასების და მართვის მატრიცა:

#	**რისკი**	**რისკის ალბათობა** (დაბალი, საშუალო, მაღალი)	**პროექტზე გავლენა** (დაბალი, საშუალო, მაღალი)	**რისკის შემცირების ან თავიდან არიდების სტრატეგია**
1				
2				
3				

2.9. მონიტორინგი და შეფასება

აღწერეთ კრიტერიუმები (ინდიკატორები), რომლითაც შეფასდება პროექტის შედეგები და ზოგადად პროექტის წარმატება და როგორ გეგმავთ მის შეფასებას.

2.10 პროექტის ბიუჯეტი

ბიუჯეტი უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის აღწერაში მითითებულ სამოქმედო გეგმასთან და აქტივობებთან. გარდა ამისა მითითებული ხარჯები უნდა იყოს რელევანტური.

პროექტის ბიუჯეტთ აღჭურვილობის შესყიდვა ფინანსდება მხოლოდ პროექტის აქტივობებიდან გამომდინარე აუცილებლობის შემთხვევაში. საოფისე ტექნიკის შესყიდვა არ ფინანსდება. პროექტის ბიუჯეტი ზღუდავს ასევე ზეგანაკვეთური შრომის, პრემიების, ალკოჰოლური სასმელების ხარჯის და ჯარიმების ანაზღაურებას.

გარდა ამისა, დონორი პროექტის სახსრებით გადახდილ დღგ-ს არ მიიჩნევს პროექტის ხარჯად, ამიტომ გთავაზობთ დღგ დაიბრუნოთ ბიუჯეტიდან, რაც საქართველოს კანონმდებლობით მიღებული და აპრობირებული პრაქტიკაა.

ბიუჯეტის შედგენისას იხელმძღვანელეთ ბიუჯეტის თანდართული ფორმით (დანართი 2). გაითვალისწინეთ, რომ მოცემული ფორმატი არის მხოლოდ ნიმუში და მოცემული ხარჯების კატეგორია არის მაგალითისთვის მოცემული.